პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 20 თებერვალი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

39 (1034) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა.

ჩვენი ნაწილების წინაშე ახა-ლი, გადაუდებელი, მორიგი ამოცანა დგას—ეს არის უპატრონო ბავშვებზე მზრუნველობა. რომ ნათლად გვქონდეს წარმოდგენილი ჩვენი დახმარების მნიშვნელობა და მისი აუცილებლობა, უნდა ვიცოდეთ თუ რის გვიქადის უპატრონო ბავშვთა რიცხვის ზრდა. უპატრონო ბავშვები საკმაო ბლომად რევოლიუციამდეც მოიპოვებოდენ, მაგრამ რევოლიუციის და სამოქალაქო ომის შემდეგ მათი რიცხვი წარმოუდგენელი სისწრაფით გაიზარდა. მაგალითად თუ 1918 წელს უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა რიცხვი უდრიდა 75 ათასს 21 წელში უკვე რ. ს. ფ. ს. რ. განათლების კომისარიატს თავის თავშესაფარებში ჰყვა 600 ათასი ბავშვი. უპატრონო ბავშვები არა მარტო რევოლიუციის და სამოქალაქო ომის შედეგია, არამედ არსებული სოციალური პირობებისა: ღარიბი სოფლად და ქალაქად, სიმშილი, უმუშევრობა და სხვა პირობები, რომლებიც ქმნიან უპატრონო ბავშვთა ახალ კადრებს.

ახლა დაახლოვებით ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე 225—250 ათასამდე უპატრონო ბავშვია. ამას უნდა დაუმატოთ ძუძუმწოვარი მიგდებული ბავშვები, რომელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.

უპატრონო ბავშვთა რიცხვი საგრძნობია ჩვენშიდაც.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს ხმარობდა და ხმარობს ბავშვთა უპატრონობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ჩვენი სახელმწიფო მილიონ მანეთობით ხარჯავს მათ შესანახავად, მაგრამ მარტო მისი ენერგიით და თანხებით ამ სოციალური მოვლენის გადალახვა ძლიერ ძნელია. საჭიროა, რომ ამ საქმეში მას დაეხმარონ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე.

აქ კი პირველ რიგში წითელი არმია უნდა იდგეს—როგორც მოწინავე საზოგადოებრივი ძალა. მას ამ საქმეში გარ და მატერიალური დახმარებისა შეუძლია აწარმოოს უსაზღვრო სააგიტაციო კამპანია ფართო მასაში. ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით ტერ-ნაწილებზე, რომლებსაც საშუალება აქვთ გააცნონ სოფელს ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის საჭიროება.

საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებით, რომელსაც მშრომელთა ფართო წრეები და პირველ რიგში ჩვენი წითელი არმიაც მიეშველება, დაძლეული იქნება ეს საქმე.

## დაუშვებელი საქციელი.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება კორესპონდენცია, რომელიც იმის მაჩვენებელია და დამადასტურებელი, რომ ზოგიერთი წითელი არმიელი ყაზარმის გარეთ ვერ იქცევა ისე, როგორც საჭიროა. თავისი ყოფა-ქცევით ზოგიერთი წითელ არმიელი სახელს უტეხს წითელ არმიას ხალხის თვალში.

როგორც ვიცით, ჩვენი წითელი არმია არის მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარი და იცავს ამათ ინტერესებს. ჩვენი ყოველდღიური მუშაობა იმისაკენაა მიმართული, რომ წითელი არმია აღიზარდოს ისე, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი ხანა და მუშებისა და გლეხების ხელისუფლება. გარდა ამისა თითოეულმა წითელ არმიელმა კარგად უნდა შეისწავლოს, თუ რატომ არის ის წითელი არმიის რიგებში და ვისი ინტერესები უნდა დაიცვას მ.ნ. წითელი არმიელი კი ყოველთვის და ყოველგან უნდა ცდილობდეს, რომ აამაღლოს მუშებისა და გლეხების თვალში წითელი არმიის ავტორიტეტი.

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ზოგიერთი წითელი არმიელი, რომელიც ყოველდღიურად იმას სწავლობს თუ ვის როგორ უნდა მოეპყრას, სჩადის დაუშვებელ საქციელს და ამით იწვევს მუშის ან გლეხის და საერთოდ პატიოსანი მოქალაქის გულისწყრომას და ცუდ შეხედულობას წითელ არმიაზე. თუმცა ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შემთხვევები ჩვენს სინამდვილეში ძლიერ იშვიათია.

რას გვეუბნება დღევანდელი კორესპონდენციის შინაარსი? რას ითხოვდა ამ შემთხვევაში გლეხი, რომელიც სოფლიდან ჩამოსულიყო თბილისში, ჩვენ წითელ არმიელისაგან? გლეხი ითხოვდა მისგან მიესწავლებია მისთვის გლეხის ცენტრალური სახლის შენობა. მაგრამ ამაზე წითელი არმიელი არ ეპასუხება და თითქმის უშვერი სიტყვებითაც კი მიმართავს მას. ამან გლეხი ძლიერ შეაწუხა, რადგან ის ასეთ პასუხს არ მოელოდა წითელი არმიელისაგან.

ჩვენი ნაწილების უფ-პოლიტშემადგენლობამ და წითელ არმიელებმა დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ამას და მომავალში ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრან ის.

—ი.

# ახალი რადიო ამბები

## ბურჟუაზიული „მართმსაჯულება“

ვიურტემბერგის კომუნისტების საქმე.

რესპუბლიკის დაცვის უზ ნაეს ტრიბუნალმა მიუსაჯა ვიურტემბერგის (გერმანიაში) კომუნისტებს: გერრს—9 წლის, შტრეიხერს—3 წლისა და 3 თვის, კიუნლეს 3 ნახ. წლის, გეპერლეს—3 წლის, შმიტს—2 წლის ციხე.

## შემთანხმებელ მენშევიკების წყალობით.

8 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც რომ ბელგიის მეღითონე მუშები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ ხელფასის გარშემო. გაფიცვები დაიწყო დამქირავებელთა ცდების გამო შეემცირებიათ ხელფასი 5 პროც.-ით.

მუშათა გაფიცვები დამარცხდა მენშევიკურ ბელადების შემთანხმებლურ პოლიტიკის მეოხებით და იძულებული გახდენ დასთანხმებოდენ სამუშაო ხელფასის დაკლებაზე 5 პროცენტით.

## რკინისგზელთა ყრილობა ტიან-ცზინში.

რკინისგზელთა ყრილობამ ტიან-ცზინში მოიწონა სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის მუშაობა. ყრილობამ დაადგინა ყოველმხრივ ხელი შეუწყონ გომინდანს (ჩინეთის ეროვნულ-რევოლიუციური პარტია), რომელიც აწარმოებს ეროვნულ-რევოლიუციონურ მუშაობას მილიტარისტებისა უცხოელ მტაცებლების წინააღმდეგ. ჩინეთის კომპარტია ყრილობამ იცნო მუშათა კლასის პოლიტიკურ პარტიად. მიუხედავად ყოველგვარი დევნისა კომპარტიამ შესძლო სწორი ხელმძღვანელობა გაეწია მუშათა მოძრაობისთვის და გმირულად დაეცვა ჩინეთის მშრომელთა ინტერესები.

## პოლონეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება.

დამთავრდა მზადება პოლონეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულებისთვის.

დანიშნულია დელეგაცია ვაჭრობის დეპარტამენტის დირექტორის გლივიცის მეთაურობით.

მოლაპარაკება დაიწყება მარტის პირველ რიცხვებში მოსკოვში.

## ჩინეთის მუშები ესალმებიან საბჭოთა კავშირის მუშებს

სრულიად ჩინეთის რკინისგზელთა ყრილობამ გაუგზავნა კარახანს წერილი რუსეთის მუშებზე გადასაცემად. წერილში ნათქვამია:

„საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩინეთის მუშებმა შეაკავშირეს ჩინეთის მთელი მუშათა კლასი. დამარცხებასა და გამარჯვებაში თქვენ გვიწევდით ჩვენ ზნეობრივ დახმარებას.

ყრილობა აუცილებლად სთვლის დამყარებულ იქნას სამუდამო მეგობრობა საბჭოთა კავშირის მუშებთან, რათა გაერთიანებული ღონისძიებით დაკამარცხოთ მუშათა კლასის საერთო მტერი“.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს და მშრომელთა ხელისუფლებას.

## უნდობლობა ჩეხო-სლოვაკიის მთავრობისადმი.

გერმანიის ბურჟუაზიულ პარტიებმა, ჩეხო-სლოვაკიის მენშევიკებმა და კომუნისტებმა შეიტანეს ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მთავრობამ არ აასრულა თავისი მოვალეობა და წაართვა ეროვნულ უმცირესობას სამშობლო ენით სარგებლობის უფლება.

# საბჭოთა კავშირში

## საბჭოთა კავშირის მოსახლეობის აღწერა.

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ გაარჩია საკითხი მცხოვრებთა აღწერისა მიმდინარე წელში.

კამათში გამოვიდა ამხ. რიკოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ საკავშირო აღწერამ სისწორით უნდა ნათელყოს საკავშირო მეურნეობის ყველა დარგები. ცნობების საფუძვლებზე დაემყარება საბჭოთა ეკონომიკა და მთელი პოლიტიკა. ამიტომ აღწერისთვის საჭიროა წინასწარ ხანგრძლივი სტატისტიკური მუშაობა.

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო გადადებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო აღწერა 1927 წლის გაზაფხულისთვის.

## ყირგიზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გადაკეთებულ იქნას ყირგიზთა ავტონომიური ოლქი ყირგიზეთის ავტონომიურ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად, რომელიც შევა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, როგორც ფედერატიული ნაწილი.

## კოოპერაციის წარმომადგენელთა გამგზავრება საზღვარ-გარედ

დასავლეთ ევროპის კოოპერაციის საქმის ფართედ გაცნობისა და მასთან საქმიანი კავშირის დაკავების მიზნით, ცენტრო-კავშირი აგზავნის საზღვარ-გარედ 3 დელეგაციას.

# საქართველოში

## თელავ-ახმეტას რკინისგზა.

დაწყებულია წინასწარი მუშაობა რკინისგზის ტოტის გაყვანის საქმეში კახეთის რკინისგზიდან სოფელ ახმეტამდი (25 ვერსზე თელავიდან).

მუშაობს რამოდენიმე ტეხნიკი, რომლებმაც გამოიკვლიეს უკვე ხაზი თუთხმეტი ვერსის მანძილზე.

## სოფელი ღონიერდება

დღემდის თელავის მაზრის კოოპერატივებში მოთხოვნილება იყო მხოლოდ „გლეხურ საქონელზე“. ახალი მიღებული საქონელი 2—3 დღეში სრულიად საღდებოდა. ძვირ საქონელს გლეხობა ფუფუნების საგნად სთვლიდა. ამ უკანასკნელ ხანებში გაიზარდა მოთხოვნილება უფრო „ძვირფასიან“ საქონელზე. ასეთი საქონლის კოოპერატივებში უქონლობის გამო, გლეხობა ყიდულობს მას კერძო ვაჭრებთან.

## ამიერკავკასიის საჭიროებისთვის.

ფოთში მოვიდა გემი „ბათომი“, რომელმაც მოიტანა ამიერ-კავკასიის საჭიროებისთვის 47 ვაგონი თეთრი ფქვილი, 12 ვაგონი თამბაქო, 7 ვაგონი ზეთი, 10 ვაგონი ღვინის კასრი და სხვა.

## მეურნეობის გასაძლიერებლად

ახალსენაკის სამაზრო აღმასკომმა გადასდო საჭირო თანხა აბაშის რაიონში სასოფლო-სამეურნეო საცდელ-საჩვენებელი უბნის მოსაწყობად.

## მოითხოვენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს

ახალსენაკის მაზრის გლეხობას შეაქვს განცხადებები და მოითხოვენ სასოფლო—სამეურნეო იარაღებს—გუთნებს, სათესსა და სხვა. აგრონომიულ განყოფილებასა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას არა აქვს საშვალება დააკმაყოფილოს მოთხოვნილება.

## საბჭოთა ხელახალი არჩევნები.

**თელავი.**

სწარმოებს გაცხოველებული საარჩევნო მუშაობა.

11 თემში არჩევნები უკვე დასრულდა. ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ არჩევნებში. ბობოლების კანდიდატები ყველგან მარცხდება. არჩევნები უნდა დასრულდეს 25 თებერვლისათვის.

**ლიუქსემბურგი**

ყიზილ—აჯლინის თემის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 45—47 პროც.-მა. საბჭოში არჩეულ იქნა 26 წევრი, მათ შორის ერთი კომუნისტია, ორი კანდიდატი, ერთი კომკავშირელი, 22 უპარტიო, უკანასკნელთა შორის 5 ქალია. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია უპარტიო.

## ფოსტა-ტელეგ. კანტორის განცხადება.

**წითელ არმიელთა საყურადღებოდ.**

თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა 1923 წლის 20 ივლისიდან, წერილები წითელ-არმიელთა სახელზე იგზავნებიან უფასოდ შემდეგ საფუძველზე:

1) ღია და უბრალო წერილები 20 გრ. რომლებზეც მისამართში აღნიშნული იქნება ჯარის ნაწილები, სადაც მსახურობენ წითელ-არმიელები.

2) წერილები წონით 20 გრ. მეტი, თუნდაც მათ მისამართებში აღნიშნული იყოს ჯარის ნაწილები, რომლებიც იქნებიან მიმართულები წითელ-არმიელების კერძო ბინებზე, ან „ფოსტაში მოკითხვამდის“, ან სხვა პირებზე გადაცემით უფასოთ არ გაიგზავნებიან.

3) ამ შეღავათებით ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად წერილის მისამართში უეჭველად უნდა იყოს აღნიშნული მიმღების თანამდებობა „წითელ-არმიელი“ და ჯარის ნაწილი, ამის გარეშე წერილი უფასოთ არ გაიგზავნება.

კანტორის გამგე იშანოვი.

კანც. გამგე ჩიკოიძე.

## როგორ უნდა ვებრძოლოთ ბოგოლებს.

ჩვენი სახელმწიფოს სოციალისტურ ელემენტების ზრდას თან ერთად ჩვენ ვაჩნევთ კაპიტალისტურ ელემენტების ზრდასაც. გაიზარდა ჩვენი სოციალისტური მრეწველობა, იზრდება კოოპერაცია, მა რამ მის გვერდით წამოიზარდენ ქალაქის ნეპმანები და სოფლის ბობოლები.

განსაკუთრებით საშიშია თუმცა ნელა, მაგრამ მაინც მოზარდი სოფლის ბობოლა, რომელსაც, თუ რომ ჩვენ არ მივიღებთ სათანადო ზომებს, შეუძლია ჩამოაშოროს მუშათა კლასს სოფლის საშუალო შეძლებისა და ღარიბთა ნაწილი.

მაგრამ ეს ზრდა არც ისე საშიშია, მაგრამ იმავდროას არც იმდენად უმნიშვნელო, რომ მას ანგარიში არ გაუწიოთ. პირიქით ბრძოლა ბობოლას წინააღმდეგ უნდა იყოს შეუდრეკი და განუწყვეტელი. ბრძოლამ უნდა გაანადგუროს როგორც სოფლის ბობოლა ისე ქალაქ ს კაპიტალისტიც, რომელიც, ცხადია, სცდილობს დაუახლოვდეს და კავშირი გააძლიეროს სოფლის ბობოლასთან.

რა ზომებით შეიძლება დღეს ბრძოლა ბობოლას წინააღმდეგ?

ებრძოლო მას ადმინისტრატიული ზომებით, აუკრძალო მას ღირებულების შექმნა სახელმწიფოში,—დაუშვებელია. ასეთი ზომები შეასუსტებდა სახალხო მეურნეობას.

საჭიროა ბრძოლის მეორე ხერხი. ეს ხერხი გამოიხატება იმაში, რომ ხელი უნდა შეუწყოთ სასოფლო მეურნეობის ზრდას, გავაღონიეროთ სოფლის ჩამორჩენილ მეურნეობათა ეკონომიკა და გავათავისუფლოთ ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობა ბობოლების გავლენისაგან. როცა ბობოლა არ ექნება საშუალება მუშა ხელის დაქირავების, აუცილებლად დაუთმობს ადგილს სოფლის ეკონომიკაში საშუალო შეძლებისა და ღარიბ გლეხს.

ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა პოლიტიკური და სამეურნეო ორგანიზაცია პროლეტარიატის ხელმძღვანელობის ქვეშ—აი ბობოლების წინააღმდეგ დღევანდელი ბრძოლის ფორმა, რომელიც დიდ შედეგებს მოგვიტანს.

ღარიბთა ორგანიზაცია საბჭოებში და მათ გარშემო აძლევს მათ სრულ საშუალებას დაიცვან თავიანთი ინტერესები.

საბჭოების საშუალებით ღარიბ გლეხობას საშუალება აქვს თვალყური ადევნოს მთავრობის კანონების ასრულებას, საგადასახადო შეღავათების სისწორით გატარებას და სხვა.

საბჭოების გარშემო შეკავშირებული ღარიბი გლეხობა სწავლობს ორგანიზაციულად მართვას, მშენებლობას და კოლექტიურ ბრძოლას ბობოლების წინააღმდეგ სოფლად.

კოოპერაცია—ეს არის ღარიბთა ეკონომიური ბრძოლის იარაღი ბობოლების წინააღმდეგ; სასოფლო სამეურნეო ნაწარმოების კოლექტიური გასაღება, სამეურნეო იარაღების ხელსაყრელ, შეღავათიან ფასებში შეძენა, კოლექტიურ მეურნეობათა და კავშირების მოწყობა,—ყველაფერი ეს საშუალებას მისცემს ღარიბ გლეხს წარმატებით იბრძოლოს ბობოლას წინააღმდეგ.

კომუნისტების გარშემო შეკავშირებულ ღარიბ გლეხობას სრული შესაძლებლობა აქვს თავიდან აიცილოს ბობოლების ცდები კოოპერაციის თავიანთ გავლენის ქვეშ მოქცევისა, ვინაიდან განაწილება და კრედიტების მიცემა შეკავშირებულ ღარიბ გლეხობის ხელში იქნება.

ღარიბ გლეხობას უნდა ახსოვდეს ერთი მთავარი პირობა: საშუალო შეძლების გლეხობასთან კავშირის გარეშე ძნელი იქნება ბობოლას დამარცხება. საბჭოებში, კოოპერაციაში და გლეხკომებში მისი მუშაობა უნდა სწარმოებდეს საშუალო შეძლების გლეხობასთან კავშირში.

მაგრამ ბობოლების წინააღმდეგ ბრძოლა მარტო ღარიბ გლეხობას არ ძალუძს. მას ეხმარება სახელმწიფო სესხის მიცემით, საკრედიტო დაწესებულებების გაძლიერებით და სხვა. ამას გარდა თვით მუშებიც უნდა სცდილობდენ დაეხმარონ სოფლად თავიანთ დასაყრდნობ ძალას—ღარიბ გლეხობას.

ეს დახმარება გამოიხატება მრეწველობის ნაწარმოების გაიაფებაში. შრომის ნაყოფიერების ამაღლება იწვევს ნაწარმოების გაიაფებას, რაც საშუალებას აძლევს ღარიბ გლეხობას იაფად შეიძინოს მანქანები.

ბრძოლა ბობოლას წინააღმდეგ არის ბრძოლა სოციალიზმის აღმშენებლობისათვის.

ვ. ტ—ი.

## კომინტერნის აღმასკომის მე-6 გაფართოებული პლენუმი.

**ამხ. ზინოვიევის სიტყვა.**

17 თებერვალს გაიხსნა კომინტერნის აღმასკომის მე-6 გაფართოებული პლენუმი ამხ. ზინოვიევის თავმჯდომარეობით.

გახსნის წინ კრებამ პატივი სცა ფეხზე ადგომით ამხ. ფრუნზეს ხსოვნას.

— წარსული წლის განმავლობაში—განაცხადა ზინოვიევმა—მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები. რა თქმა უნდა იყო შეცდომებიც. ასეთი შეცდომაა გერმანიის კომპარტიის ტაქტიკა პრეზინდენტის არჩევნების დროს, რამაც ზიანი მოუტანა არა მარტო გერმანიის კომპარტიას, არამედ კომინტერნსაც.

წარსულ წელს საგრძნობლად გაიზარდა ინგლისისა და ჩინეთის—2 ახალგაზრდა კომპარტია. ჩინეთის კომპარტიის მოქმედებამ აშკარად დაგვანახა, რომ კომუნისტური იდეები გზას იკაფავს არა მარტო დასავლეთ ევროპაში, არამედ აღმოსავლეთშიაც.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიამ გადალახა მარჯვნივ გადახრის სენი.

საფრანგეთის კომპარტიამ დიდი აქტივობა გამოიჩინა და წარმატებით იბრძოდა სირიისა და მაროკოს ომის წინააღმდეგ.

იტალიის კომპარტიაც, მიუხედავად ფაშისტური დევნისა, გახდა უძლიერესი მუშათა პარტიი.

უნდა ვიფიქროთ, რომ პოლონეთის კომპარტიაც გამარჯვებული გამოვა კრიზისიდან.

საერთოდ, თუ წასულმა გაფართოებულმა პლენუმმა აღნიშნა კაპიტალიზმის შედარებით სტაბილიზაცია, ამ პლენუმს საფუძველი აქვს აღიაროს ამ სტაბილიზაციის დროებითი ხასიათი.

ზინოვიევი აცხადებს, რომ პლენუმი და კომპარტია თავისი მუშაობით დაამტკიცებენ ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ გაზეთების ჭორების უსაფუძვლობას კომინტერნის „მარჯვნივ გადახრის“ შესახებ. კომინტერნი, აცხადებს, ზინოვიევი, არ გადაიხრება არც მარჯვნივ და არც ზომაზე მეტ მემარცხენე მიმართულებისაკენ. ის არის და დარჩება იმ კომინტერნად, რომელიც ლენინმა შექმნა. პლენუმი წავა კომინტერნის მეოთხე კონგრესის მიერ ნაჩვენები გზით. კომინტერნი და გაფართოებული პლენუმი ლენინიზმის ერთგული დარჩება ბოლომდი.

(ტაში).

**პრეზიდიუმის არჩევა და მისალმებანი.**

პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმი და სამდივნო. პრეზიდიუმში შედიან: ზინოვიევი, სტალინი, ბუხარინი, ტელმანი, სემარი, გეშკე, შმერალი, ჯანსონი, ფერგუსონი, კრუგე, სომბანი, დოროპი, ჩილბუმი, კატაიამა, კლარა ცეტკინი, როი, მ ნუილსკი, ფრესიოვიჩი, დაიამი, ფერდი, ბოგუცკი, დმიტროვი, სუფანი დასემა ოენი.

სამდივნოში შედიან: კუუსინენი, ემბერ-დრო, კიუნე, პიატნიცკი, პეაკობი, კონბლიუმი, ნეირატი, პროუნი და პეპერი.

შემდეგ პლენუმს ესალმებიან ჩინეთის კომპარტიის წარმომადგენელი, გომინდანის წარმომადგენელი, მონღოლეთის სახალხო-რევოლიუციონურ პარტიის წარმომადგენელი და სხვა.

მომავალ სხდომაზე კომინტერნის მუშაობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ზინოვიევი.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

### საჰაერო ფოტოგრაფიის მნიშვნელობა.

ავიაციის საბრძოლო მუშაობა მრავალმხრივია. მაგრამ ერთი უმნიშვნელოვანეს მუშაობათაგანი—ეს არის მოპირდაპირის ზურგის დაზვერვა—ძიება (შორი და ახლო). ძიების წარმოების დროს მფრინავი მოთვალთვალენი დაწვრილებით ათვალიერებენ განსაზღვრულ რაიონს, იწერენ და იმახსოვრებენ ყოველივე ნახულს.

თავისთავად გასაგებია რომ მოპირდაპირე, შენიღბვის სხვა და სხვა სახით შეეცდება დაჰფაროს თავისი ნამდვილი მდგომარეობა, რომ ბევრი რამ დაფარული იყოს მოპირდაპირის მოთვალთვალისაგან. გარდა ამისა მტრის თვითმფრინავები ეცდებიან ხელი შეუშალონ ჩვენს მუშაობას.

რომ მეტი ცნობა მოჰკრიბონ მტრის მდგომარეობის შესახებ ამათუიმ უბანზე, ამისთვის აწარმოებენ სურათის გადაღებას ჰაეროპლანებიდან. ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დასაწყისში ეს ფოტოგრაფიული სურათები იძლეოდენ საკმაო ნათელ სურათს მოპირდაპირის მდგომარეობისა და მისი მოთავსების შესახებ. ეს საქმე ჩქარა წავიდა წინ და ამჟამად განსაკუთრებულ ფოტოგრაფიულ აპარატების საშუალებით შეიძლება გადაღებულ იქნას მთელი მოედანი (დიდ. მასშტაბით—100 საჟენი 1 დიუმში) სივრცით 200 კვ[...]ტიულ ვერსამდე, რისთვისაც საჭიროა 1 ნახ.—2 საათი[...] ფრენა.

გასაგებია, რომ მფრინავ მოთვალთვალეს ასეთი მუშაობა[...] შესრულება არ შეუძლია: მას არ შეუძლია ასეთ უზარმაზარ მოედანზე ყველაფერი ჩაიწეროს ან დაიმახსოვროს. ხოლო წვრილმანი საგნები, რომლებსაც ვერ დაიჭერს ადამიანი[...] თვალი, ნათლად გადადის სურათზე, სადაც მოწინააღმდეგის მიერ შენიღბული უბნები აშკარა შესამჩნევი და ადვილ[...] გამოსაკვლევია.

აქედან ცხადია, რომ საჭიროა კარგი შენიღბვა, რათა[...] დაჰფაროს თავისთავი და შენობები ჰაერის მძიებელ—მოთვალთვალისაგან.

ამრიგად ჰაერიდან სურათი გადაღება ძიების საიმედო, სწ[...]ორი და სწრაფი საშუალებაა[...]

ვ.

## საველე სწავლება.

### რა არის რუქა და გეგმა.

გეგმა და რუქა—ეს არის ადგილ-მდებარეობის გამოსახულება ქაღალდზე. ადგილ-მდებარეობის მოცემული უბანი, რომ გამოვსახოდ, საჭიროა ყველა ხაზები, ადგილმდებარეობისა და საგნების სიდიდე შემცირებულ იქნას ერთსადაიმავე რიცხვჯერ.

ამ შემცირებულ გამოსახულებას ეწოდება მასშტაბი.

ვთქვათ ჩვენ გვაქვს გეგმა, რომლის მასშტაბი უდრის 100 საჟ.—ერთ დიუიმში. ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილის 100 საჟენი გეგმაზე გამოხატულია ერთ დიუიმში. რამდენჯერაა შემცირებული ეს გეგმა? იმდენჯერ, რამდენჯერაც 100 საჟ. მეტია ერთ დიუიმზე, ე.ი. 8.400 ჯერ. მაშასადამე რა მანძილიც არ უნდა ავიღოთ ჩვენ ადგილზე, ის გეგმაზე შემცირებულ იქნება 8.400 ჯერ.

ავიღოთ მეორე მასშტაბი—ერთი ვერსი ერთ დიუიმში. აქ ადგილ-მდებარეობის ზომა შემცირებულია 42.000 ჯერ. ეს იმას ნიშნავს, რომ მანძილი—42.000 დიუიმი ადგილზე უდრის ერთ დიუიმს გეგმაზე.

ამ შემთხვევაში გეგმის შემცირება მეტია, ვინემ პირველ მაგალითში და ამიტომაც ამბობენ, რომ ეს გეგმა მცირეა, ხოლო ის კი მსხვილია.

გეგმაზე გამოსახავენ ადგილობრივ საგნების (საზღვრების) მოხაზულობას, რომლებიც საგრძნობი სიდიდის არიან, მაგალითად, სოფელი, სახნავ-სათესი მინდორი, ველი, ჭაობი და სხვა, და ამას გარდა იქვე სვამენ პირობითი ნიშნებს,

მაგრამ არიან ისეთი საგნები[...] რომლებიც თავის მცირე სი[...] დიდის გამო არ შეიძლება [...] თავსებულ იქნან მასშტაბ[...] ე. ი. შემცირებით მოთავს[...] ბულ იქნან, მაგრამ სამხედრო[...] მოსაზრებით დიდი მნიშვნელო[...] ბა აქვთ; მაგ. გზის მაჩვენებე[...] ლი, ჭა, ცალკე შენობები, წის[...] ქვილები, ხიდები და სხვა.

ასეთი საგნები აღნიშნუ[...] იქნებიან პირობითი ნიშნებით[...] ბოლოს რელიეფი (ადგილ-მდებ[...] მოხაზულობა) გამოისახება გა[...] საკუთრებული პირობითი ნიშ[...] ნებით (ჰორიზონტალებით).

მაგრამ რა განსხვავებაა გეგ[...] მასა და რუქას შორის? რო[...] გორც ვიცით დედამიწას ბირ[...] თვისებური ფორმა აქვს. თ[...] რომ ჩვენ მოგვიხდება გადა[...] ხატოთ ადგილ-მდებარეობი[...] დიდი უბანი, ამ შემთხვევა[...] მიწის ბირთვისებურობა დაე[...] ყობა გამოსახულებას. აი, რო[...] ცა დედამიწის ბირთვისებურო[...] ბა გადახატვის დროს მიღებუ[...] ლია მხედველობაში, გამოსა[...] ხულობას ეწოდება რუქა.

მცირე უბნის გამოხატულე[...] ბას, სადაც მიწის ბირთვისებუ[...] რობა არაა მიღებული მხედვე[...] ლობაში, ე. ი. ზედაპირი მი[...] ღებულია სიბრტყედ,—ეწოდე[...] ბა გეგმა.

ჩვეულებრივად სამხედრო გე[...] გმა გამოისახება მასშტაბით 1[...] საჟენიდან 250 საჟნამდი [...] დიუიმში, (ე. ი. მსხვილი მა[...] შტაბი). რუქებს აქვს მასშტაბ[...] —1, 2, 3, 5, 10, 15, 20, 4[...] და მეტი ვერსი დიუიმში.

ვ.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ს.ა.ლ.კ.კ. მე-VIII ყრილობა

**22 თებერვალს, ტფილისში მოწვეულია სრულიად საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის მე-8 ყრილობა**

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. მიმდინარე მომენტი და პარტიის პოლიტიკა.
2. ცეკას ანგარიში.
3. პიონერთა ცენტრალურ ბიუროს თანამოხსენება.
4. განათლების სახ. კომისარიატის მოხსენება.
5. ეკონომიური მუშაობის მორიგი ამოცანები.
6. არჩევნები ცენტრალური კომიტეტის და დელეგატების ამიერ-კავკასიის და საკავშირო ყრილობებზე.

ც. კ. მდივანი დარახველიძე.

## კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციასთან.

5-ე ლეგ. 2-რე კომუჯრედი.

ჩვენი კომუჯრედი დაკავშირებულია ადგილობრივ ქალაქის საქსოვი ქარხნის კომუჯრედთან. პირველ ხანებში ეს კავშირი საგრძნობლად მოისუსტებდა, მაგრამ უკანასკნელად გამოკეთდა მდგომარეობა.

8 თებერვალს მოხდა უჯრედების გაერთიანებული კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ქარხნის დირექტორი. ამხანაგმა დაწვრილებით გაგვაცნო, თუ როგორ პირობებში უხდებოდა ქარხანის მუშაობის წარმოება და რა და რა დაბრკოლებები ელობებოდა მას წინ.

მიუხედავად ცუდი მდგომარეობისა, რომელიც შექმნილი იყო ქარხნის ირგვლივ, როგორც მაგალითად, მანქანების უვარგისობა, კვალიფიციური მუშების და სხვა სპეციალისტების ნაკლებობა და მრავალი სხვა, წარმოება მაინც შესაფერი ნაბიჯით წასულა წინ და ნაწარმოების ხარისხიც ძლიერ აწეულა ამ უკანასკნელ ხანებში. ეს დიდი მიღწევაა ჩვენი მუშაობის პირობებში—განაცხადა ამხანაგმა.

ქარხნის დირექციას ყოველგვარი ზომები მიუღია მუშათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. აუგია ახალი სახლები და სხვა. 1925 წლის განმავლობაში ქარხანას დაუმზადებია 50.000 მეტრი შალეულობა და გაუტანია კიდეც ბაზარზე. მიმდინარე წელში დირექციის განზრახული აქვს 150 ათასი მეტრი შალეულობის დამზადება, ეს აუცილებლად დიდი მიღწევა იქნება.

ლეგიონის მთელი შემადგენლობა პარტიისა და ახკომკავშირის წევრებთან ერთად ამ კრებაზე დაწვრილებით გაეცნო ქარხნის მდგომარეობას, რისთვისაც მადლობას უხდის ქარხნის დირექტორს და ადგილობრივ კომუჯრედს.

სამხკორი მ. ქუენია.

---

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი"**

---

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ვემზადებით საბჭოთა საქართველოს 5 წ. თავის და წით. არმიის 8 წლ. თავისთვის.

3-ე ლეგ. 4-ე ასეული.

ჩვენს ასეულში საბჭოთა საქართველოს 5-თი წლის თავისა და წით. არმიის 8 წლის თავის დღესასწაულებისათვის მზადებას თავიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა. ხშირად ტარდებოდა პოლიტ-საათები და საუბრები წითელ არმიელთა შორის.

15 თებერვალს ასეულში შესდგა გაერთიანებული კრება, რომელსაც წით.არმიელების გარდა დაესწრენ სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გაკეთებული იქნა მოხსენება საბჭოთა საქართველოს ხუთი წლის თავის მნიშვნელობის შესახებ. ამხანაგმა მომხსენებელმა აღნიშნა, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართველი მშრომელი ხალხი მენშევიკების ბატონობის დროს და როგორ გამოკეთდა მისი მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების დროს.

გაკეთებული იქნა მოხსენება აგრეთვე წითელი არმიის 8 წლის თავის შესახებ. აღნიშნული იქნა მისი დაარსების მომენტების სირთულე და ყველა ის გმირული ბრძოლები, რომელიც წითელმა არმიამ განვლო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

იყო შეკითხვები დღესასწაულების შესახებ, რომლებზედაც მიცემული იქნა სათანადო განმარტებები.

სამხკორი ნ. კალანდაძე.

## თვით წითელ არმიელებმა დასდონ მსჯავრი.

9 თებერვალს ღამის ათ საათზე შევიქენი ერთი შემთხვევის მოწმე. ერთი გლეხი (რომელსაც ეტყობოდა პირველად ჩამოსულიყო თბილისში) შეეკითხა ერთ-ერთ წითელ არმიელს, ესწავლებინა მისთვის თუ სად იყო გლეხის ცენტრალური სახლი.

შესაძლებელია თვით წითელ არმიელმაც არ იცოდა ეს, მაგრამ ზრდილობიანად პასუხის მიცემა, რაზედაც ბევრს გველაპარაკებიან წითელ ყაზარმაში და გვავალდებულებენ კიდევაც, მაინც მოეთხოვებოდა აღნიშნულ წითელ არმიელს. მიუხედავად ამისა მან არ იკადრა პასუხის გაცემა და მწყრალად გაცილდა გლეხს.

გლეხი გაოცებული დარჩა და ძლიერ შეწუხდა, როცა წითელ არმიელისაგან ასეთი პასუხი მიიღო და ვერ მიიღო სათანადო დახმარება მისგან.

მინდოდა გამეგო წითელ არმიელის ვინაობა, მაგრამ ვერ შევძელი.

რა ეკუთვნის, როგორ უნდა მოექცენ წითელ არმიელები წითელ არმიის სახელის გამტეხ ასეთ ამხანაგს?

სამხკორი მ. ოდიშარია.

## სამი თვის განმავლობაში ბევრი რამ შევითვისეთ.

უკვე სამი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც წითელ ყაზარმაში ვიმყოფებით შემოდგომაზე გამოწვეული ახალგაზრდობა. ჩვენი აქ ყოფნა მთელი ამ ხნის განმავლობაში სავსეა მრავალფეროვანი მუშაობით და მიღწევებით, როგორც კულტურულ და პოლიტიკურ, ისე სახმედრო საქმეში.

ყველაზე უფრო დიდი ყურადღება მოსვლისთანავე მივაქციეთ სამხედრო მომზადების საქმეს, რამაც შესაფერისი ნაყოფი მოგვცა. ჩვენ მტკიცეთ ვიცავთ სამხედრო დისციპლინას. მრავალი ამხანაგები გადაყვანილი ვიქენით ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლაში კურსანტებათ, სადაც სრულიად გამოიცვალა ჩვენი ცხოვრება. ჩვენს წინაშე წამოიჭრენ სულ სხვა ამოცანები, რომელთა შესაფერად შესრულებისათვის ყოველმხრივად ვმუშაობთ.

თითეულ ჩვენგანს გათვალისწინებული აქვს მომავალი ჩვენი ჯარში მუშაობის პასუხისმგებლობა და იშვიათი გულმოდგინეობით ეკიდებიან სწავლას. მომავალ ცვალებადთა შეკრებას ღირსეულ მასწავლებლად დავხვდებით.

სამხკორი გაბუნია.

## ჩვენი საკლუბო საქმიანობიდან.

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონში ამ ბოლო დროს საგრძნობლად გამოცოცხლდა საკლუბო მუშაობა. გამგეობამ ამისთვის ფართოდ გამოიყენა და ჩააბა მუშაობაში ყველა აქტიური წითელარმიელები. ლენინის კუთხეში დაარსებულია სხვა და სხვა ხასიათის ბირთვები შესაფერი ხელმძღვანელებით. თითეული მათგანი რიგ-რიგობით ატარებს კუთხეში მუშაობას. ამათ გარდა გამოცოცხლდა აგრეთვე ლეგიონში არსებულ წრეების მეცადინეობაც, რომლებიც ატარებენ თავიანთ მუშაობას ბიურო-კოლექტივის მიერ გამომუშავებული გეგმის თანახმად.

საჭიროა მხოლოდ კლუბის გამგეობამ შესაფერი ზომები მიიღოს წრის ხელმძღვანელთა თათბირების მოსაწყობათ. ეს კიდევ უფრო გაანაყოფიერებს ჩვენს მუშაობას, რადგან მოხდება ჩვენი მიღწევებისა და ნაკლულევანებათა გამომზეურება.

კლუბში ხშირად იმართება სხვა და სხვა სპექტაკლები და იშვიათად კინო სურათები. სამწუხაროთ ხშირად კინო-სურათები არ არის ისეთი, როგორიც საჭიროა წითელარმიელებისათვის. ამას შესაფერი ყურადღება უნდა მიაქციოს კლუბის გამგეობამ და შეიძინოს ისეთები, რომლებიც ხელს შეუწყობს წითელარმიელში ნამდვილი მებრძოლის გამომუშავებას.

ამას გარდა კარგი იქნება, რომ სურათის შინაარსი ზოგადათ გაეცნობოდეს წითელარმიელებს მის გაშვებამდე და შემდეგ ითარგმნებოდეს სურათის მსვლელობის პროცესში წარწერები. წინააღმდეგ შემთხვევებში ის მაინც გაუგებარი რჩება წითელარმიელებისათვის.

სამხკორი ტ. მამალაძე.

## ვემზადებით მომავალი მოკლევად. შეკრებისათვის.

5-ე ლეგ. 3-მე ასეული.

ასეულის უფ-პოლიტშემადგენლობა და წითელ არმიელები ენერგიულად ემზადებიან მომავალ მოკლევადიან შეკრებისათვის. ყოველგვარი ზომებია მიღებული, რათა ძველი წითელ არმიელებიც იქნენ გამოყენებული მეცადინეობის დროს ათეულის მეთაურებათ. ამისთვის მათ შესაფერისად ამეცადინებენ და ისინიც გულმოდგინეთ ეკიდებიან მუშაობას. თვით ასეულის მეთაურებიც ენერგიულად ეკიდებიან ამ საქმეს.

იმედი გვაქვს მომავალ შეკრებას უფრო მომზადებული შევხვდებით და ნაყოფ ერადაც დავამთავრებთ.

სამხკორი კ. მანჯგალაძე.

## გაზეთშიდაც კი თანამშრომლობენ.

სამხედრო გოსპიტალი.

1903 წელში დაბადებულ წით. არმიელებისაგან გოსპიტალში ბევრი მოვიდენ ისეთები, რომლებმაც სრულიად არ იცოდენ წერა-კითხვა. მაშინვე მიღებული იქნა ზომები ჩვენი მესვეურებისაგან ამ მოვლენის წინააღმდეგ. მოხდა უცოდინარობის აღრიცხვა. დაყოფილი იქნენ ჯგუფებათ და დავიწყეთ მათთან მეცადინეობა. თვით წითელ არმიელებიც გულმოდგინეთ მოეკიდენ ამ საქმეს და იშვიათი მონდომებით ითვისებდენ ყველაფერს.

ამ ჟამად გოსპიტლის სანიტრებს შორის არა გვყავს არც ერთი წერა—კითხვის უცოდინარი. ყველას შეუძლია საკუთარი ხელით მშობლებისათვის წერილის მიწერა. ადგილობრივ კედლის გაზეთშიაც ღებულობენ მონაწილეობას და გვაწვდიან კორესპონდენციებს თავისი ცხოვრების შესახებ.

ბევრ სიამოვნებით აღნიშნავს იმასაც, რომ მათ ეს უმა გაუღიმათ და მოხვდენ წითელი არმიის რიგებში.

წ. არმ. გორდეზიანი.

---

## კლუბის გამგეობის არჩევა და მისი მუშაობა.

**მზადება არჩევნებისათვის.**

დაუშვათ ასეთი საკითხი, რომ ამ მოკლე ხანში ასარჩევია კლუბის ახალი გამგეობა. ამ დროს ლეგიონის მთელი პარტიული ორგანიზაცია აწარმოებს მზადებას კლუბის უფროსთან ერთად არჩევნებისათვის. მაგრამ ამასთანავე ერთად ემზადება კლუბის გამგეობაც, რომ კარგად ჩააბაროს ანგარიში თავის მუშაობის შესახებ ლეგიონის საერთო კრებას.

რა არის ამ დროს უმთავრესად საჭირო? უპირველეს ყოვლისა თვალი უნდა გადავავლოთ ძველ შემადგენლობას და დავინიშნოთ, ვინ არის მათგან მეტი ენერგიული, დაინტერესებული და კარგად მომზადებული სკოლის გარეშე მუშაობაში. უნდა ვეცადოთ, რომ ასეთები მოხვდეს აუცილებლად ახალ შემადგენლობაში. შემდეგ საჭიროა პარტ-ორგანიზაციებს სახეში ჰყავდეს ყველა ის უფ-პოლიტ და წ. არმიელთა შემადგენლობა, რომლებიც აქტიურად და კარგად მუშაობს საკლუბო საქმეში. ასეთი საერთო კრებაზე უნდა წამოვაყენოთ კლუბის გამგეობის ახალი შემადგენლობა.

**ვინ შედის კლუბის გამგეობაში და ვინ არის ასარჩევი.**

თანახმად საკლუბო მუშაობის ნორმალურ წესდებისა, კლუბის გამგეობაში შედიან მექანიკურათ—კლუბის უფროსი (იგივე თავმჯდომარე) და ბიბგამგე. უკანასკნელი დამატებით დებულებისა, კლუბის გამგეობაში უნდა იქნეს არჩეული სულ 9 წევრი. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ზემო აღნიშნულ ორ პირს, ჩვენ მაშინ უნდა ავირჩიოთ საერთო კრებაზე 7 წევრი. ამ შვიდი კაცის არჩევის დროს კრებაზე საჭირო იქნება მოიქცენ შემდეგნაირად: როდესაც კრება უკვე შეუდგება აღნიშნული წევრების არჩევისათვის, კანდიდატების დასახელებას, საჭირო იქნება დავასახელოთ ერთი კაცი ბიურო კოლექტივის შემადგენლობიდან, მეორე კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიიდან, ერთი მეთაური, სამხედრო-სამეცნიერო წრის თავმჯდომარე, ერთი მასწავლებელი, ერთი პოლიტ-ხელი და ერთიც წითელარმიელი. ასე ამ გვარად მივიღებთ კლუბის გამგეობას. მხოლოდ კანდიდატებად საჭირო იქნება კიდევ ავირჩიოთ სამი კაცი: აქედან ერთი უნდა იყოს მეთაური, ერთი პოლიტ-ხელი და ერთიც წითელი არმიელი.

**ფუნქციების განაწილება.**

ჩვენ ეხლა ვიცით, რომ კლუბის უფროსი იმავე დროს ითვლება კლუბის გამგეობის თავმჯდომარეთ და დანარჩენთა შორის ფუნქციები უნდა განაწილდეს მხოლოდ შემდეგნაირათ:

ბიბგამგეს ევალება აწარმოვოს ყოველგვარი საბიბლიოთეკო მუშაობა ბიბლიოთეკის დარგში, როგორც ორგანიზაციული, აგრეთვე მასიური.

ბიურო-კოლექტივის წარმომადგენელს ევალება, უხელმძღვანელოს კლუბთან არსებულ პოლიტ-წრეს, იყოს წრეების ორგანიზატორი და რაც უმთავრესია თვალყური ადევნოს და უხელმძღვანელოს პარტიის მუშაობას უპარტიოთა შორის.

სამხედრო-სამეცნიერო წრის წარმომადგენელს ევალება უხელმძღვანელოს კლუბთან არსებულ სამხედრო წრეს და გაატაროს გასამხედროების ხაზი სკოლის გარეშე მუშაობაში.

მასწავლებელს ევალება გახდეს ხელმძღვანელი—საერთო განვითარების წრეების და აწარმოოს საექსკურსიო მუშაობა და სხვა.

ერთ-ერთ წევრს კედლის გაზეთისას ევალება, უხელმძღვანელოს სამხკორთა ორგანიზაციებს, კედლის გაზეთების გამოცემას და ყველა იმ მასალების გადამუშავებას, რომელიც შეეხება პრესის და მუშკორ—სოფლ—კორ და სამხკორთა ისტორიებს.

პოლიტხელს ევალება ხელმძღვანელობა გაუწიოს, ლენინის კუთხეების ორგანიზაციულ მხარეებს, შიგ მასიური მუშაობის წარმოებას, კითხვა პასუხის რვეულების მუშაობას, და სხვა.

წითელ არმიელებს კი ევალებათ ორგანიზაციულად უხელმძღვანელოს ლენინის კუთხეებში ბირთვების დაარსებას, კუთხეების მორთვა—გალამაზებას, თვითმოქმედ ორგანიზაციების მუშაობას და მიზიდვას უფრო აქტიურ წ. არმიელებისას პირველ დაწყებითი მუშაობაში.

(გაგრძელება იქნება)

ს. გეგია.

# საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში.

**ბორჩალოს მაზრაში.**

წინასწარი მზადება არჩევნებისათვის მაზრაში დაიწყო 1925 წლის 20 ნოემბერს. ყველა სოფლებში დაგზავნილ იქნა ინსტრუქციები ადგილობრივ მოსახლეთა ენებზე, საიდანაც გლეხები გაეცნობოდენ არჩევნების ჩატარების წესს.

ყველა თემაღმასკომები აწარმოებდენ ანგარიშების ჩაბარებას გლეხებისათვის. გლეხები მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ თემაღმასკომების ანგარიშების ჩაბარებაში. სოფელ ბონის-ხაჩინში, მაგალითად, კრებაზე გამოცხადდა 300 გლეხი და სხდომა გაგრძელდა 9 საათს.

მაზრა დაყოფილია 135 საარჩევნო უბნათ.

— სოფ. დარბაზის სათემო საბჭოში აირჩიეს 23 დეპუტატი. აქედან 1 კომუნისტი, 1 კ. პ. კანდიდატი და 2 კომკავშირელი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 66 პროცენტმა.

— ფახრალოს სათემო საბჭოში გავიდა 26 წარმომადგენელი. მათ შორის 2 ქალია, 2 კომუნისტი და 3 კომკავშირელი, უპარტიო კი 21.

**აფხაზეთში.**

წინასწარი საარჩევნო კამპანია უკვე ჩატარდა და დასრულდა ყველა რაიონებში. არჩევნები დაიწყება 20 თებერვალს. ყველა ადგილობრივმა აღმასკომებმა ჩაატარეს ანგარიშების ჩაბარება ამრჩევლებასადმი გლეხები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ წინასწარ საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში.

**ლეჩხუმში.**

— ლასურიაშის თემში არჩევნები დასრულდა. სათემო საბჭოში აირჩიეს 21 წარმომადგენელი. აქედან 8 კომუნისტი 2 კანდიდატი და 1 კომკავშირელი.

**დუშეთის მაზრა.**

— საგურამოს თემში არჩევნები დასრულდა. სათემო საბჭოში გავიდა 2 კომუნისტი, 1 კ. პ. კანდიდატი და 1 ქალი. სულ არჩეულია 33 დეპუტატი.

# მოვაწყვეთ სამხედრო კუთხეები.

**მე-3-მე ლეგიონი.**

ამ ბოლო ხანში ლეგიონის უმთავრესი ყურადღება მიქცეული იქნა სამხედრო კუთხეების მოწყობაზე. არჩეული იქნა კუთხეების მომწყობი კომისია, რომელსაც დაევალა მოაწყოს სამხედრო კუთხეები საშეფო სოფელში წყალტუბოში, „მესამე ინტერნაციონალის" კლუბში და ცხრაწლედ-ტეხნიკუმში. კომისიას დაევალა აგრეთვე კუთხეებისათვის შესაფერი პლაკატების შეძენა და ლეგ-სამკითხველოში სამხედრო წიგნების გამოყოფა.

კომისია უკვე შეუდგა მუშაობას. იმედია ის შესაფერი ნაყოფით დაგვირგვინებს ამ საქმეს. სამხკორი ბ. იოკლიანი.

# დიდი საქმე.

**წყალსადენის გაყვანა სოფლებში.**

საქართველოს ყველა მაზრებზე უწყლობა ყველაზე უფრო საგრძნობია ტფილისის მაზრაში. ზოგიერთ სოფლებში მცხოვრებლებს უხდებათ რამოდენიმე ვერსის მანძილიდან მოზიდონ სასმელი წყალი. უმეტეს შემთხვევაში სოფლები სარგებლობენ ჭის წყალით, რომელიც სათავეა ყოველგვარი ეპიდემიების გავრცელებისა. მაგრამ ბევრ სოფელში ჭებით სარგებლობაც არ შეიძლება, რადგანაც ჭებში წყალი არ ამოდის.

ხშირად გლეხებს უხდებათ დაგროვონ წვიმის წყალი და შემდეგ გამოზოგვით ხარჯონ.

ასეთი მდგომარეობა გლეხებისათვის წარმოადგენს დიდ დაბრკოლებას მათი საოჯახო მეურნეობის წარმოების საქმეში.

ტფილისის აღმასკომმა მიიღო ეს მხედველობაში და გადასწყვიტა მაზრის ასეთ სოფლებში გაიყვანოს წყალსადენი. წინასწარი გამოანგარიშებით ყველა უწყლო სოფლებში წყალსადენების გაყვანა დაჯდება 110 ათასი მანეთი, რაც დიდ თანხას წარმოადგენს.

აღმასკომმა მიზანშეწონილად სცნო, რომ ეს თანხა მიეცეს კომუნალურ ბანკიდან გლეხებს გრძელ ვადიანი სესხის სახით.

სამუშაოების ტეხნიკურ ხელმძღვანელობას იკისრებს აღმასკომი და გლეხებს აუსრულდებათ მათი დიდი ხნის ნატვრა.

ასე ზრუნავს საბჭოთა ხელისუფლება გლეხებზე და ასე აკეთებს იგი სახალხო-საშვილიშვილო საქმეს.

დ.

# უცხოეთის არმიებში

**ლატვია მიწებით ასაჩუქრებს თავის ოფიცრებს.**

სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებულ კანონის თანახმად, მთავრობა მიწებით ასაჩუქრებს არმიის მეთაურთა შემადგენლობას.

საერთოდ იმ ოფიცრებს, რომლებიც ლატვიის დამოუკიდებლობის დროს იყვნენ არმიაში მეთაურებად ჯერ-ჯერობით გადაცემული აქვთ 68 კარმიდამო ბაღჩებით.

**სამი წერა-კითხვის მცოდნე ერთ უცოდინარზე.**

საფრანგეთში ორ ლეგიონის შემადგენლობაში მოახდინეს წერა-კითხვის მცოდნე და უცოდინარ ახალწვეულების აღრიცხვა. გამოირკვა, რომ 800 კაციდან წერა-კითხვა იცოდა მხოლოდ 600 კაცმა. ე. ი. წერა-კითხვის უცოდინარი მათ-შორის აღმოჩნდა 25%. დანარჩენი 160 ახალწვეულს ისეთივე მომზადება ჰქონდათ, როგორც აქვს მაგალითად 12 წლის ბავშვს.

წერა-კითხვის უცოდინართა ასეთი სიმრავლე მით აიხსნება, რომ ომის დროს ბავშვები 9—10 წლიდან იძულებული იყვნენ წასულიყვნენ ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაოდ, ხოლო როდესაც დამთავრდა ომი—შემდეგ აღარ დაბრუნებულან სკოლებში.

ომამდე საფრანგეთის ახალწვეულებში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი არ აღემატებოდა 2 პროცენტს.

**5 მილიონი—აეროდრომისათვის.**

ინგლისის მთავრობამ ლონდონის ახლოს შეიძინა უზარმაზარი აეროდრომი და განზრახული აქვს გადააქციოს ის ლონდონის საჰაერო თავდაცვის ცენტრად. იტყობინებიან რომ აეროდრომის შესყიდვა, მთავრობას დაჯდომია ხუთი მილიონი მანეთი. მთავრობას განზრახული აქვს ლონდონის ირგვლივ მიდამოებში მოაწყოს საჰაერო თავდაცვის პუნქტები.

# ამბები სოფლებიდან

ფოთის და სენაკის აღმასკომებმა დაადგინეს შეამხანაგდენ აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაშენებლათ.

**გლეხთა სახლი ფოთში.** ფოთის აღმასკომმა დაადგინა მოაწყოს გლეხთა სახლი ფოთში, სამეგრელოს ქუჩაზე.

**ტყეების გადაცემა გლეხებისათვის** გორის მაზრაში მიმდინარეობს წარმატებით.

**ტირიფონის ველზე.** სოფ. რიეთის მცხოვრებლებმა (გორ. მაზ.) შუამდგომლობა აღძრეს სამაზრო აღმასკომის წინაშე ტირიფონის ველზე გადასახლების შესახებ.

დუშეთის აღმასკომმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას სოფ. ახალდაბის სტიქიურად დაზარალებულ გლეხებს გაუდიდდეს მიცემული სესხის გასტუმრების ვადა.

**სამხრეთ—ოსეთის** ცაკმა დაადგინა ააგოს სოფ. ჯავაში ჰლექიმთათვის სამკურნალო საავადმყოფო.

**ფოთის აღმასკომმა** დაადგინა გადააკეთოს სოფ. ყულევის 4 წლედის სკოლის შენობა.

**ს. ხევში** (გურია) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

**სამხკორებო! ახლოვდება საქართველოს გასაბჭოების 5 წლისა და წითელ არმიის 8 წლის თავი. გამოაგზავნეთ, რაც შეიძლება დაჩქარებით, კორესპონდენციები ამ დღესასწაულის შესახებ.**

# ახალი ამბები.

— ტფილისის აღმასკომის საგეგმო კომისია ამ ჟამად აწარმოებს გამოკვლევას ხიდის აგების შესახებ სოფ. მცხეთასთან მდ. არაგვზე. შეიძლება ხიდის მაგიერ აღნიშნულ ადგილზე მოეწყოს მოტორიანი ნავი.

— **ახალი სახლი.** ტფ. აღმასკომი პუშკინის ქუჩის ბოლოში აგებს 4 სართულიან სახლს.

— **საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა** გაიხსნება 1-ლ მარტს მუშათა სასახლეში.

**ამა წლის აგვისტომდე** სამხედრო კოოპერატივმა „ბოეცმა" უნდა მიაწოდოს ტფილისის გარნიზონს 40 ათასი ფუთი კარტოფილი და 14 ათასი ფუთი მჟავე კომბოსტო.

— **რუსული ტრაქტორები.** ტფილისში მოწყობილ სას.-სამ. გამოფენაზე ჩამოტანილ იქნება რუსული წარმოების ტრაქტორებიც.

— **ჯანსახკომი გზავნის** დასავლეთ საქართველოში თვალის სამკურნალო რაზმს.

— **სიკვდილიანობა.** 1921 წელში ყოველ ათას კაცზე კვდებოდა 12 კაცი, ხოლო 1925 წელს—6 კაცი.

**გლეხთა ცენტრალურ სახლთან** ჯანსახკომი ხსნის 20 საწოლიან საავათმყოფოს, სადაც მოათავსებენ სოფლებიდან ჩამოსულ ავათმყოფებს.

— **შინა მრეწველობა.** ამ ჟამად მთელ საქართველოში ითვლება 85.800 შინა მრეწველი.

# პასუხი შეკითხვებზე.

**სევდიშვილს.** მიმართეთ ლეგ. უფროსს ექიმს და ის გაგზავნით, თუ საჭიროდ დაინახა, საგარნიზონო კომისიაში.

**ტეხურისპირელს.** დამხმარე სალაროდან თქვენს ოჯახს დახმარება არ მიეცემა.

**ქოლიას.** თქვენი ძმა თუ თქვენ რჩენაზე იმყოფება, ის განთავისუფლებულ უნდა იქნეს სწავლის ფულისაგან.

**ცნობის მოყვარეს.** თუ თქვენ პოლიტსკოლაში მიიღეთ ტანსაცმელი, ნაწილში არ მიიღებთ, სანამ მიღებულ ტანსაცმელს ტარების ვადა არ გაუვა.

**ვ. უ.** თუ მაზარის დაკარგვა ვერ დაამტკიცეთ კვლევაძიებით, მაშინ მისი საფასური გადაგხდებოდათ. ნაწილი კანონიერად მოქცეულა.

# შეცდომის გასწორება.

გაზ. „წითელი არმიელის" 19 თებერვლის № 38-ში მოთავსებულ კორესპონდენციაში გაპარულა შემდეგი შეცდომა: კორესპონდენცია გაშვებულია შემდეგი სათაურით: მე-4 ლეგ. მე-6 ასეული. ნამდვილად კი კორესპონდენცია გადმოგზავნილია—მე-6 ლეგ. მე-4 ასეულიდან.

# აბა გამოიცანი?

**ამოცანა. № 6**

ვინ არის ისეთი, რომელსაც არც ერთი ენა არ უსწავლია და ყველა ენებზე ლაპარაკობს?

**დოლიძეს.** თქვენ უნდა მიმართოთ სამხედრო კომისარს, რომელიც აღძრავს საკითხს ლეგიონის წინაშე, რომ თქვენ თავის დროზე ღებულობდეთ ყველა იმ საგნებს, რაც თქვენ გეკუთვნით.

**ბოდბელს.** დებულება 1904 წ. დაბადებულთა გაწვევის შესახებ ჯერ არ არის.

**ვ—ძეს.** დახმარებისთვის უნდა მიმართოთ აღმასკომს და გლეხკომს.

**ან—ძეს.** ნაწილიდან ნაწილში გადასვლა არ შეიძლება.

**მეთაურს.** ამ ჟამად უფშემადგენლობის სამსახურიდან დათხოვნა დროებით შეჩერებულია (ბრძანება № 409.)

**რ—რ—ს.** არ შეიძლება. უნდა იმსახუროთ ამა წლის შემოდგომამდე.

**საშუალოს.** თუ რა მიზეზის გამო არ განთავისუფლებენ რედაქციამ არ იცის. მიმართეთ ნაწილს ამის შესახებ.

**ბარბაქიძეს.** თუ კომისიამ იცნო, რომ თქვენ უკანონოდ ხართ მიღებული, უნდა დაგითხოვონ. (ბრძანება № 16—26 წ.)

**ჩ—ლს.** საზაფხულო შარვალს ექვსი თვის ტარების ვადა აქვს.

**ურუშაძეს.** დაგვიანებულია. თავის დროზე უნდა წარგედგინათ შეღავათის შესახებ საბუთები.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ვინდაძეს.** (1-ლი ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. არაბს** (3-მე ლეგ.) თქვენი წერილი ბატარეიაში ცხენების უყოლობის შესახებ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ მიმართეთ შესაფერი ხაზით.

**ამხ. ა. ფეხმაშვილს** თქვენი წერილი რუსული ლეგიონის შესახებ არ დაიბეჭდება. საჭიროა ცოცხალი ფაქტები მუშაობის შესახებ. თქვენ კი ასეთი არაფერი გაქვთ.

**ამხ. ზიკუროვს.** (2-რე ლეგ.) კორესპონდენციები ბროშიურების შესახებ უშინაარსოა. არ გავა.

**ამხ. ლემაშვილს.** (2-რე ლეგ.) წერილი ექსკურსიისა და შეფობის შესახებ არ დაიბეჭდება ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**მე-4 ლეგ. მე-3 ასეულის წითელ არმიელებს.** თქვენი კორესპონდენცია გადაეგზავნა ლეგიონის სამხედრო კომისარს.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-3 ლეგიონის ბიურო-კოლექტივში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატებათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: დარახველიძე ანდრო ივანესძე, კრაწაშვილი გიორგი ივანესძეს, ელიოზ შავლ. კაპაევს, ივანე გეორგისძე ქინთარიას, ალექსანდრე ირაკ. ჯახუტაშვილს და ვარლამ რედონაიას, პარტიის წევრად მიღების შესახებ.

უპარტიო ამხანაგებს: (თხოულობენ კომპ. კანდიდატათ მიღებას) ვასილ კამოსძე კოსიევს, ილო თომასძე მეზვრიშვილს, ლუკა იონესძე დგებუაძეს, მალაქია ანტონისძე ჩიხრაძეს, მოსე ივანესძე ალადაშვილს, თედო კიკოლაშვილს, გერასიმე ივ—ძე კობერიძეს და ალექსი სტეფ. ირემაშვილს.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ მათი მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ 3-მე ქართ. ლეგიონის ბიურო-კოლექტივში.

1-ლი ლეგიონის სამნეო გუნდის და ბატარეიის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატობიდან, პარტიის წევრათ გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: კონსტ. უბერს, (ბატარეის მწყობრის თავი) 2) კალაძე ალექსანდრეს (წითელი მოლაშქრე, კომკავშირის წევრი 1921 წლიდან.)

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ამხანაგების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ კომუჯრედში.

მდივანი შავლაძე.

**დაკარგა** მე-4 ქართულ ლეგიონიდან გაცემული წითელ არმიელის წიგნაკი № 15 ი. რუსიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი